

ლილია ტეტერინა

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

მულტილინგვალიზმი თანამედროვე ბრიტანულ პოეზიაში

აბსტრაქტი

დღეს მულტილინგვალიზმი ჰაერშიც კი ჭარბად არის. პოეტური ენა არსებითად ითვისებს იმ ცვლილებებს, რაც სოციუმში ხდება. პოეზიის ენა ასახავს თანამედროვე ცხოვრების ტენდენციებს საკუთარ სტრუქტურებსა და ლექსიკაში. წინამდებარე სტატიაში მულტილინგვალიზმის ფენომენი განხილულია, როგორც პოეტური მეტყველების ერთ-ერთი ასპექტი. სტატიაში წარმოდგენილია მსჯელობა მულტილინგვალიზმის სხვადასხვა სახესა და ფუნქციაზე. აგრეთვე ხაზგასმულია მულტილინგვალიზმის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი სტრატეგიის როლი თანამედროვე ბრიტანულ ხელოვნებაში.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვალიზმი, ჰიბრიდიზაცია, კოდების-შერევა, კოდირებული ენა, ენა და კულტურული ინტერაქცია.

შესავალი

პოეტური მულტილინგვალიზმის საკითხზე დიდი ხანია მსჯელობენ ლინგვისტები, ლიტერატურის კრიტიკოსები, პოეტები და ფსიქოლოგები. ისინი ამ საკითხს განიხილავენ სხვადასხვა ასპექტში: პოეტური მულტილინგვალიზმი, როგორც ენობრივი შეზღუდვების დაძლევის და ფართო კოსმოპოლიტური და ინტერნაციონალური თვალთახედვის ჩამოყალიბების საშუალება; ასევე, პოეტის უფლებების დაცვის სტრატეგია - წეროს

ორ ან მეტ ენაზე (მაგალითად, კოლონიური ფონის შემთხვევა) და ფოკუსირება მოახდინოს როგორც ეროვნულ, ასევე ეთნიკურ ცნობიერებაზე. პოეტური მულტილინგვალიზმი განიხილება აგრეთვე, როგორც ორი ან მეტი ლიტერატურული პერსონაჟის შექმნის ხერხი, როგორც სტილისტიკის ერთ-ერთი სტრატეგია.

თუმცა, ამავდროულად, რა თქმა უნდა, არსებობენ პოლიგლოტი პოეტებიც, რომლებიც მხოლოდ ერთ ენაზე წერენ და

ერთსა და იმავე ლექსში არ ურევენ ენებს ერთმანეთში. ასეთი პოეტების გაცნობა შესაძლებელია მულტილინგვური პოეზიის კრებულებში და ამ შემთხვევაში მათ არ შეეხებოთ.

ინგლისურ პოეზიაში ერთ-ერთი ტრადიციული პრაქტიკაა ასევე სხვა ენებიდან რაიმე ელემენტის (ძირითადად სიტყვები და სიტყვათკომბინაციები) ჩასმა ლექსში. ძირითადი ენები, რომლებიც ჩანართების სახით გვხვდება ინგლისურ პოეზიაში, არის ფრანგული, გერმანული, ბერძნული და ლათინური.

მულტილინგვალიზმის კიდევ უფრო თანამდროვე გამოვლინებაა ექსპერიმენტული პოეზია ლინგვისტური ჰიბრიდიზაციის ელემენტებით. მულტილინგვალიზმის ეს სახეობა იკვლევს ენებს შორის ინტერაქციას - კერძოდ, მათ სტილისტიკურ და სემანტიკურ არსს.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ პოეზიის აღნიშნული საკითხი მულტილინგვალურ ჭრილში, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი სტრატეგია.

სექცია 1. ლექსები ორ ან მეტ ენაზე, როცა არ გამოიყენება ენების მიქსი.

ბრიტანეთში ბევრი ბილინგვალი პოეტია, რომლებიც დროდადრო წერენ ლექსებს იმ ენებზე, რომლებიც

ისტორიულად უკავშირდება კოლონიალიზაციის პერიოდს. ისინი წერენ ინგლისურად და მათ მშობლიურ ენაზე. შოტლანდიაში, მაგალითად, პოეტებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ ინგლისურ, შოტლანდიურ და კელტურ ენებს შორის. წარსულში ენების არჩევანი ცალსახად ეროვნული იდენტობის საკითხი იყო. ეს იყო ერთ-ერთი გზა, საშუალება - დაეცვათ საკუთარი უფლება, გამოეყენებინათ მშობლიური ენა, როგორც სამწერლობო ენა.

დღესაც ჩნდება იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის კითხვები იმ შემთხვევაში, როდესაც პოეტი სამწერლობო ენად კელტურს ან შოტლანდიურს ირჩევს ინგლისური ენის ექსკლუზიური დომინანტობის საპირისპიროდ. მაგრამ, როგორც როდერიკ უოტსონი ამბობდა „თუ იდენტობა თანამედროვე შოტლანდიელი მწერლებისათვის პრობლემატური საკითხია, მაშინ ეს უფრო თავსდება პიროვნული, ეგზისტენციალური, პოლიტიკური და სექსუალური მყოფადობის კონტექსტში“ (164). როდერიკ უოტსონს მაგალითისთვის მოჰყავს ისეთი ქალი-პოეტები, როგორებიც არიან: მეგი გიბსონი, ჯეიკი ქეი, ქეთლინ ჯეიმი და მეგ ბეიტმენი. ისინი

იკვლევდნენ მათი თაობის გამოცდილებას: თუ როგორია იყო ქალი შოტლანდიაში.

რაც შეეხება ირლანდიას, აქ ენის არჩევანი უფრო მკვეთრად ეროვნული იდენტობის საკითხია. ზოგიერთი პოეტი წერს ირლანდიურად. ნუალა ნი დომნეილი თავის ლექსში „ენის საკითხი“ ხსნის, თუ რატომ წერს ის ირლანდიურად. ამის ასახსნელად მას მოჰყავს მეტაფორა ბიბლიიდან: ლერწმის კალათი, რომელშიც წევს ჩვილი მოსე. კალათი ნილოსის დინებას მიჰყავს. ამ მეტაფორას ის იყენებს, იმის ასახსნელად, თუ რატომაა მისი პოეზიის ენა ირლანდიური. ფარაონის ქალიშვილი კი, რომელიც დაინახავს კალათს და წაიყვანს ჩვილს, მეტაფორულად მისი პოტენციური მკითხველია.

ცნობილი უელსელი პოეტის გვინეტ ლევისის ესეებში ფორმირებულია ორი ბილინგვური საკითხი: „ვისი პალტოა ეს ჟაკეტი?“ და „ვისი ქუდია ეს კეპი?“ ორივე ესეში პოეტი ემპათიკურად განსაზღვრავს საკუთარ უფლებას, წეროს ორ ენაზე: უელსურად (მის მშობლიურ ენაზე) და ინგლისურად. უელსში, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენას სალაპარაკოდ გამოიყენებენ. ლევისი ინგლისურად სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტის დამამათავრებელ კურსზე. საკუთარ

ბილინგვურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გვინეტ ლევისი ადარებს ორი ენის - ინგლისურისა და უელსურის - ძლიერ და სუსტ მხარეებს. ის აღნიშნავს, რომ „ინგლისური ენის რაციონალურობა პოეზიის ენას საზღვრებში აქცევს - მაშინ, როცა უელსურის მუსიკალურობა, როგორც ეს არის დილან ტომასთან, იგივეა, რაც კოკისპირული წვიმა. მე მომწონს, ვიფიქრო მუსიკალურად და მინდა ვიყო მუსიკალური. ეს არის ამბიცია, რომელიც არის ორი ტრადიციის ნაზავი“.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე ენის საზომი რიტმი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ინგლისური ენა ფართოდ იამბურია, ხოლო უელსური - ანაპესტიკური. ეს ორი რიტმი კი ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელია.

ამგვარად, რამდენიმე ენაზე ლექსის დაწერა პოეტს აძლევს საშუალებას, იკვლიოს ენების შესაძლებლობები და განსაზღვროს მათი ურთიერთქმედების შედეგები. გარდა ამისა, ორი განსხვავებული ლიტერატურული ტრადიციის შერწყმა / გაერთიანება, რომელიც ეხმარება მას, გაიგოს სხვადასხვა კულტურის პოეტური გამოვლინებები, არის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც ყველა მულტილინგვალმა პოეტმა უნდა გაართვას თავი.

სექცია 2. ინგლისური პოეზია სხვა ენების ელემენტებით.

სხვა შემთხვევებში ბილინგვალი პოეტები ორ ენას შერეულად იყენებენ ერთი ლექსის შესაქმნელად. ეს ის შემთხვევაა, როცა პოეტი ინგლისური ენის საზღვრებში ვერ გრძნობს თავს კომფორტულად და ის დამატებით მიმართავს თავის მშობლიურ ენას. ხულია ალვარესის ლექსში „Bilingual Sestina” შერეულია ორი ენა, ორი კულტურა:

Some things I have to say ain't getting said
in this snowy, blond, blue-eyed, gum-
chewing English
dawn's early sifting through persianas closed
the night before by dark-skinned girls whose
words
evoke cama, aposento, suenos in nombres
from that first world I can't translate from
Spanish.

ლექსი ასახავს პიროვნების ცალკეულ, ძლიერ შეგრძნებებს, რომლებიც იხლიჩება ორ ენას შორის. ის ირჩევს, დაწეროს ლექსი ინგლისურად და გამოიყენოს მცირე რაოდენობით ესპანური ენა, მისი ფრაგმენტული, მომენტალური განწყობის ხაზგასასმელად.

განსხვავებული შემთხვევაა გვინეტ ლევისის ლექსები. ის უმეტესად წერს ინგლისურად და არ ურევს უელსურს ინგლისურ ენასთან, მაგრამ არის ისეთი

ლექსებიც, რომლებიც დაწერილი აქვს ინგლისურად უელსური ენის ელემენტების ჩანართებით. ლექსში “Welsh Espionage” ლევისი ამოწმებს თავის ბილინგვურ ცოდნას:

Welsh was the mother tongue, English was
his,
He taught her the body by fetishist quiz,
Father and daughter on the bottom stair:
“Dy benelin yw *elbow*, dy wallt di yw *hair*,

Chin yw dy en di, head yw dy ben.”

She promptly forgot, made him do it again.
Then he folded her *dwrn* and, calling it fist,
Held it to show her knuckle and wrist.

“Let's keep it from Mam, as a special
surprise.

Lips are *gwefusau*, *llygaid* are eyes.”

.....
ლევისის ამ ლექსში წარმოდგენილია კულტურული და ლინგვისტური საზღვრების ჩამოყალიბებისა და რღვევის ურთულესი პროცესი. აქ ერთმანეთს ეჯახება ორი ენა. მათ შორის ბრძოლა გამოხატულია კურსივირებული შრიფტით დაწერილი სიტყვების როლური ცვალებადობით. ლევისი აღნიშნავს, რომ ეს ენები მის აღქმასა და გამოყენებაში ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული.

ნაწილი 3. ენათა შერწყმა, როგორც მხატვრული სტრატეგია

ზოგიერთი თანამედროვე პოეტი-სათვის უნარი - წერო ერთზე მეტ ენაზე ან რამდენიმეზე ერთად - სტილისტური არჩევანია. მაგალითად, ვ. ნ. ჰერბერტისათვის შოტლანდიური არის მისი ენების ფართო სპექტრის მხოლოდ ნაწილი. „მე ვარ პოლისტილისტი, შეპყრობილი წერის სხვადასხვაგვარი მანერის ურთიერთქმედებისგან - არა მხოლოდ შოტლანდიურისა და ინგლისურის, ასევე ფორმალურისა და თავისუფალის, პოეზიისა ფურცელზე და პერფორმანსისა, პოემების, ორმოცხაზიანი ლექსებისა... ყველაფერი არის დიალექტი!“ (170).

ვ. ნ. ჰერბერტის კომიკური პოემა „კაბარე მაგონაგალი“ არის ნიმუში ინგლისურისა და, გარკვეულწილად, ექსპერიმენტული, „პლასტიკური“ შოტლანდიური ენის გამოყენებისა. შესავალი სტროფი :

Come as ye dottilt, brain-deid lunks,
Ye hibernatin cyber-punks,
Gadget-gadjies, comics-geeks,
Guys wi perfict rat's physiqes,
Fowk wi fuck-aa social skeels,
Fowk that winnae tak thir pills:
Gin ye cannae even pley fuitball
Treh thi Cabaret MacGonagall.

უილიამ მაკგონაგალი არის დუნდელი ტრაგიკოსი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ინგლისურ ენაზე დაწერილი ყველაზე ცუდი ლექსის ავტორი. ის იყო უნიჭო კაცი, რომელიც თავს დიდ პოეტად მიიჩნევდა. ცნობილი ამერიკული ფილმის „კაბარეს“ სახელისა და ფილმიდან სიმღერის გამოყენებით, ავტორი ქმნის თანამედროვე შოტლანდიის პაროდისტისეულ კრიტიკულ ხედვას.

ჰერბერტის პოეზიის შოტლანდიური დიალექტი მისი სამშობლო დუნდედანაა, დიალექტი გამოირჩევა მონოფტონგურობით [ae] to [e]. ის თავისუფლად გარდაქმნის სიტყვათა მართლწერას და გვაცნობს თავის ქმნილებებს, რაც ლექსს ანიჭებს განუმეორებელ ჟღერადობას და უცხო ეფექტს.

თავისი ლექსების კრებულის “The Forked Tongue” შესავალში, ჰერბერტი აღნიშნავს: „მე არ მინდა არჩევანი გავაკეთო მათ შორის (ინგლისური და შოტლანდიური ენები); მე მინდა ჩანგლის ორივე კბილი. ჩვენ განა არ ვართ გამუდმებით ცვალებადი რეესტრები სოციალურად არასრულფასოვანი ქრიჭინების მსგავსად? ჩემი მოტო არის „და“ და არა „ან“ (12).

კიდევ ერთი შოტლანდიელი პოეტი -
ტომ ლეონარდი აზავებს ინგლისურ
ლექსიკასა და დასავლეთ შოტლანდიის
ქალაქურ დემოტიკურ საუბარს - რაც
ფონეტიკური ტრანსკრიფციით უფრო
დაშორებულია:

ma lungs iz fuckt
bronchitis again
thi smoakin

lookit
same awl spliht
yella ngreen

von goghs palate
paintn sunflowers

როდერიკ ვათსონის მიხედვით,
ინგლისურისა და შოტლანდიურის
კომპლექსური კვეთა ქმნის არა-
ჩვეულებრივ ენერგიას: „იმის მიუხედავად,
რომ მაკდიარმიდს სურდა მისი
მიკუთვნება მხოლოდ შოტლანდიუ-
რისთვის. და, რა თქმა უნდა, თავად
თანამედროვე შოტლანდიურშიც არსებობს
ინტერორიენტაციის სხვა დონე, რომელიც
გამოირჩევა დიალექტთა სიმდიდრით,
მრავალფეროვანი რეესტრებით, ჰიბრი-
დული ექსპრესიითა და ლექსებით,
რომლებიც ერთი და იმავე სიტყვის ხან
ინგლისურ, ხანაც შოტლანდიურ ფორმას
ეფუძნება.

სხვა თანამედროვე შოტლანდიელი
პოეტებისთვის, რომლებიც ორივე -
ინგლისურ და შოტლანდიურ ენაზე წერენ,
ენებზე საუბარი არის გაზიარებული თემა,
ერთგვარი „სათამაშო მოედანი“. ასეთი
პოეტები არიან: რობერტ კროუფორდი,
რიჩარდ პრაისი, დევიდ კინლოხი. იგივე
ითქმის შედარებით ახალგაზრდა პოეტ
ჯაეკი ქეიზე, რომელიც წერისას ენების
ნაზავს იყენებს. ის იყენებს ძველ
შოტლანდიურს პოემა “Fiere”-ში,
შოტლანდიურ დიალექტს პოემა “The
Knitter”-ში, გლაზგოურ დიალექტს “English
Cousin Comes to Scotland”-ში... ის ასევე
იყენებს უფრო თანამედროვე გლაზგოურს
და თანამედროვე შოტლანდიურს. „მე
ყოველთვის ვაკვირდები ენას და
პოეტისთვის შთამბეჭდავია ენის
მოქნილობა და მისი ცვლილება, რაც
დამოკიდებულია იმიგრაციაზე, ადამიანთა
შემოსვლაზე, ტერიტორიულ გადაად-
გილებაზე“.

ენათა ერთ ნაწამოებში გაერთიანებას
ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ჰიბრი-
დიზაციას. ტერმინი დაამკვიდრა მ.
ბახტინმა, რომელიც მასში გულისხმობდა
ორი სოციალური ენის ნაზავს ერთ
გამონათქვამში, ორი განსხვავებული
ლინგვისტური აზროვნების „შეხვედრას“
გამონათქვამის არენაზე, რაც ერთმა-

ნეთისგან გაყოფილია ეპოქის, სოციალური დიფერენციაციის ან რაიმე სხვა ფაქტორის მიერ.

ენებისა და დიალექტების შერწყმის კიდევ ერთი მაგალითია ტონი ჰარისონის პოემა “The Ballad of Babelabour”, სადაც მკითხველი შეხვდება ისეთ გერმანულ სიტყვებს, როგორცაა *Sprache* და *neue* (დაწერილია გოთიკურ სტილში), ფრანგულ სიტყვას *merde*, ესპანურ სიტყვას *negra*, ჩრდილო ინგლისური დიალექტის იმიტაციას სიტყვათა კომბინაციაში “*revurlooshunairy vurse*”, ინგლისური ენის გრამატიკულ დაბოლოებებს გერმანულ სიტყვებზე: *Sprachered*, *Sprache's*. ენათა და დიალექტთა ეს ნაზავი წარმოადგენს „სიტყვათა ბაბილონურ აღრევას“, რაც აღნიშნულია ბერტოლდ ბრეტის ეპიგრაფში, და აქვს დანიშნულება, გამოხატოს ავტორისეული ხედვა დიდი ბრიტანეთის ისტორიისა და თანამედროვეობის ხალხთა და ენების ნაზავით... ეს არის მიზანმიმართული ლინგვისტური სტრატეგია, რომელიც პოეტმა თავისი იდეების გამოსახატავად აირჩია.

პოემის სათაურში “The Ballad of Babelabour” სიტყვა Babelabour ავტორის მიერ წარმოებული სიტყვაა, რომელიც

ორგვარად შეიძლება იქნეს ინტერ-პრეტირებული:

1. *Babel + bour*: *Babel* – ბიბლიური ისტორიიდან ბაბილონის გოდოლის შესახებ და *bour* - ბევრი ევროპული ქალაქის აფიქსი, მაგალითად: Bourges, Burgundy, Freiburg, Bournemouth და ა.შ .

2. *babel + labour*: *babel* – არეულობის, დაბნეულობის, განსხვავებული ხმებისგან წარმოქმნილი ხმაურის სცენა (ასევე ასოცირებული *babble* – არეული ხმა ბევრი ერთდროულად მოლაპარაკე ადამიანისა).

მეორე მნიშვნელობით პოემაში გვხვდება მუშათა ენა:

What ur-Sprache did the labour speak?
ur ur ur to t'master's Sprache
the hang-cur ur-grunt of the weak
the unrecorded urs of gobless workers

ამას გარდა, ჰარისონი იყენებს ბაბილონის ბიბლიური ამბის სიმბოლიკას თანამედროვე პოეტური ენის მისეული ხედვის წარმოსაჩენად. ასევე, საკუთარი ენის წარმოსაჩენად, რომელიც ყოველთვის ცდილობს გასცდეს ინგლისური ენის საზღვრებს და, ალბათ, ასევე, სურს წარმოაჩინოს თავისი ნოსტალგია პროტონისადმი: *Ursprache* (პოემაში “*Ur-Sprache*”) არის გერმანული სიტყვა, რაც პროტონას ნიშნავს - ანუ საწყისი ყველა ენისა.

ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე ირლანდიელი პოეტის პოლ მულდონის შემოქმედებაში მულტილინგვალიზმი არის შესამჩნევი ტექნიკა, განსაკუთრებით - მის ბოლოდროინდელ ლექსებში. ამ ტექნიკას არ აქვს მხოლოდ მულდონის ემიგრაციული გამოცდილების ასახვის მნიშვნელობა, არამედ გააჩნია მხატვრული სტრატეგიის ფუნქციაც - კულტურული და ლინგვისტიკური პრაქტიკის შეკავშირება.

ამის მაგალითია ლექსი “Yarrow”, რომელიც აცოცხლებს ისტორიას და ავტორის ბავშვობას. იგი მოიცავს იდეებისა და მოვლენების მთლიან ჯაჭვს, დაწყებულს კოლონიური შეტაკებებით - დამთავრებული მებაღეობით, ფილოსოფიით, ლინგვისტიკით, როკ ლიტერატურით და ანთროპოლოგიით... ერთ-ერთ ინტერვიუში პოლ მულდონი თავისი ლექსის შინაარს ასე განსაზღვრავს: „ის ეხება ჩემი ბავშვობის პერიოდს და ყველა ტიპის სათავგადასავლო ისტორიას - წარმოსახვით ცხოვრებას. ის წარმოადგენს პოეტის აზროვნებას, ბავშვის აზროვნებას, მაგრამ დაწერილს გარკვეულწილად „loopy style“-ით”.

ლექსის სტრუქტურის კომპლექსურობა განპირობებულია მისი ალუზიებით - კამიუდან ჰართ კრეინამდე, ოვიდიუსიდან ორაჰილამდე. ჯემი

მაკკენდრიკის მოსაზრებით, ეს შეიძლება იყოს უფრო გასართობი, ვიდრე მიზანმიმართული. სათავგადასავლო ამბების, სარაინდო რომანების და სატელევიზიო ვესტერნების სტრუქტურიდან ჩანს, რომ ისინი მოიცავენ დასასრულს საკუთარ თავში. ეს ფაქტი კი ხელს უშლის ლექსის დინამიურობას.

პოლ მულდონს გააჩნია განუსაზღვრელად ინფორმაციული, ყოვლისმომცველი გონება, პოეტური ფორმისა და ტექნიკის შესაძლებლობების ღრმა ცოდნა. ლექსის შემადგენელ ენობრივ ფონს მიეკუთვნება: ლათინური, ფრანგული, ესპანური, შედგენილ სიტყვებზე დაფუძნებული ან ხელოვნური მულტილინგვური სიტყვების თამაში, ტოპონიმები, ეტიმოლოგიები - კელტური ხომ ხშირად ენათესავება ინგლისურს...

მულდონი გულუხვია სახელების გამოყენებისას. მის ლექსში, პოეტის ფანტასტიკური წარმოსახვის შედეგად, ერთდროულად დასახელდა ვაილდ ბილ ჰიქოკი, მაუდ გონე, სილვია პლატი და მაიკლ ჯექსონი. დიდი კრიტიკა დაიმსახურა მულდონის მულტილინგვურმა სიტყვათა თამაშებმა, გამაოგნებელმა ასოციაციებმა და ანალოგიებმა დაუკავშირებელ ტექსტებსა და იდეებს

შორის. ზოგიერთი ამას „ასოციაციურ სიგიჟეს“ უწოდებს.

ბერნარდ ო დონოუის განსხვავებული პოზიცია აქვს. მისი აზრით: „ეს ყველაფერი არ არის დასარწმუნებლად: ეს მხოლოდ მასალის დალაგების სტილია. ეს არის ინტერტექსტუალურობა, ეს არის ყალბი ერუდიცია!“.

ბილინგვურ სიტყვათა თამაშები და სემანტიკური გაორებები (Cicero – Caesar, US – USSR, album - white) გამოჩნდა, მაგალითად, მულდონის ეპიგრამაში ბიტლზების 1968 ალბომზე “White Album”:

Though that was the winter when late each
night
I'd put away Cicero or Caesar
and pour new milk into an old saucer
for the hedgehog which, when it showed up
right
on cue, would set its nose down like that
flight
back from the U.S...back from the, yes sir...
back from the...back from the U.S.S.R...
I'd never noticed the play on “album” and
“white”.

სტეფან ბურტი მულდონის პოეზიის მახასიათებლების აღწერისას მას უწოდებს „ალქიმიურ ტრანსფორმაციებს“. „სიტყვები, ობიექტები და ადამიანები ერწყმის და შორდება ერთმანეთს— *soutane* into *Soutine*, *Merlin* into *Marilyn*” (19-20). ასეთი

ცვალებადობა ქმნის სიმსუბუქეს და ორაზროვნებას, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოლ მულდონის უკანასკნელ ნაწარმოებებში.

ძნელია არ დაეთანხმო მარია ჯონსტონის კომენტარს: „პოლ მულდონის პოეზია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პოეტური ტექსტი გახდეს სივრცე ლინგვისტური ფერტილიზაციისათვის და ინტერაქციული ენების იდიომატური ტექსტურის გამოკვლევისათვის“.

დასკვნა

პოეტური ენა არსებითად შემთვი-სებელია საზოგადოებაში მიმდინარე წამიერი ცვლილებებისა და ასახავს მათ თავის სტრუქტურასა და ლექსიკაში. მულტილინგვალიზმი ახლა ყველგანაა. პოსტმოდერნული კულტურული განწყობა მულტილინგვალურ ექსპერიმენტებს ლიტერატურული ხელოვნების მნიშ-ვნელოვან მახასიათებლად ქმნის. თამაშის ელემენტი თანამედროვე მულტილინ-გვალურ პოეზიაში ძალიან ძლიერია, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს... ეს გადადის ინტერკულტურული ენებისა და კულტურის ექსპრესიული ფორმების ძიებაში და ხდება პოტენციურად უფრო მეტი ავთენტური ფორმის მატარებელი.

ლიტერატურა

- ბურტი, სტეფანი, 2004 - Burt, Stephen. "Thirteen or Fourteen": Paul Muldoon's Poetics of Adolescence. In *Critical Essay*. Ed. By tim Kendall and Peter McDonald. Liverpool University Press 2004, 19-29/
- ჰერბერტი, 1994 - Herbert W.N. Introduction to "*Forked Tongue*" (Bloodaxe,1994), 5 -12.
- ჯონსტონი, 2014 - Johnston, Maria. *CPR* – Paul Muldoon Reviewed by Maria Johnston (www.cprw.com/Johnston/Muldoon.htm)
- კეი, 2014 - Kay, Jackie. (Jackie Kay talks writing and more with Lynn Davidson 19-06- 13) www.bookcouncil.org.nz/Blog/General/Jackie%20Kay%20tall.
- მაკკენდრიკი, 1994 - McKendrick, Jamie "Interview with Paul Muldoon". *The Independent*, Saturday 24, September 1994.
- ვატსონი, 2006 - Watson, Roderick. *Living with the Double Tongue: Contemporary Poetry in Scots//The Edinburgh History of Scottish Literature, Volume Three: Modern Transformations: New Identities*. Edinburgh University Press, 2006. 163-175.
- უელსის პოეტი სტენფორდში, 2010 - "Welsh poet at Stanford: Small languages make a big difference" (Gwyneth Lewis is interviewed by Cynthia Haven). *Stanford News*, January 7, 2010.